ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 5

ქ. თბილისი 8 ივლისი, 2011 წელი

ერთის მხრივ შ.პ.ს „უძრავი ქონების განვითარების ფონდი", მისი ფონდის უფროსის ვლადიმერ თუხარელის სახით (შემდგომში – შემსყიდველი) და მეორეს მხრივ ს.ს. „სადაზღვევო კომპანია ჯიპია ჰოლდინგი" (შემდგომში – მიმწოდებელი), მისი გენერალური დირექტორის გიორგი კვირიკაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია შ.პ.ს. „უძრავი ქონების განვითარების ფონდის" სახსრებით, ავტომანქანების დაზღვევის მომსახურების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია: ერთი ერთეული ავომანქანის დაზღვევის მომსახურება (დანართი №1). მომსახურების ღირებულება შეადგენს 1400 (ათას ოთხასი) ლარს.

1.3 კლასიფიკატორის კოდი: 66514110.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 1400 (ათას ოთხას) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების (დღგ და სხვა) ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. შესყიდვის ობიექტის გაწევის პირობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს შ.პ.ს. „უძრავი ქონების განვითარების ფონდი"

6. ანგარიშსწორების ფორმა (ვადები) და ადგილი

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება, უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან (მზღვეველთან) მოხდება ერთჯერადად. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს სადაზღვევო პრემიის გადახდა ხელშეკრულების გაფორმებისა და სადაზღვევო სერთიფიკატების გამოწერიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

6.4 ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, რაზედაც უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, ასეთის დარღვევის აღმოჩენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, რომელშიც უნდა იყოს მითითებული დამატებითი ვადები დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება/შეტყობინება.

8.3. თუ მიმწოდებელი გაფრთხილების/შეტყობინების შემდეგაც არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა ხელშეკრულების საერთო/ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.5 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების

შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.

8.7. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირი.

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

შ.პ.ს. „უძრავი ქონების განვითარების ფონდი“
მის: ქ. თბილისი,
ქ.თბილისი აღმაშენებლის 89/24
ს.ს. „ლიბერთი ბანკი“
კოდი: LBRTGE22
ა/ა № GE030113125343030000
ს/კოდი: 404397979

მიმწოდებელი:

ს.ს. „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი‘
მის: ქ. თბილისი,
კოსტავას ქ. №67
ს.ს „თი ბი სი ბანკი“
კოდი: TBCBGE22
ა/ა № GE13TB1100000005700652
ს/კოდი: 204426674

შ.პ.ს. „უძრავი ქონების განვითარების ფონდი ფონდის“ უფროსი

ვ. თუხარელი

„სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგის“ გენ. დირექტორი

ბ. კვირიკაძე

დანართი №1

1. ავტომანქანების დაზღვევა ფარავს შემდეგ რისკებს:
   ა). ავტომობილის გატაცება, ქურდობა,. ძარცვა, ყაჩაღობა;
   ბ). ავტომობილის დაზიანება ან განადგურება (რაც გამოწვეულია ავტოსაგზაო შემთხვევით, ხანძრით, მეხის დაცემით ან/და აფეთქებით, მესამე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, ვანდალიზმით, რაიმე საგნის დაცემით, სტიქიური უბედურებებით ან უბედური შემთხვევით (მოულოდნელი მოვლენა, რომელმაც გამოიწვია დაზიანება გარეშე და აშკარა მიზეზებით).
   დაზღვევის მოქნედების არეალია – საქართველო;
   გ). მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა (10000 ა.შ.შ დოლარიანი ლიმიტით) – იფარება შემსყიდველის (დამზღვევის) პასუხისმგებლობა აანაზღაუროს მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა ან/და ქონებისათვის სატრანსპორტო საშუალებით მიყენებული ზიანი.

   შენიშვნა: ფრანშიზა – 0%.

№	მარკა და მოდელი	გამ. წელი	საბალანსო ღირ. (ლარი)	სახელმწ №	დაზღვევის სახე	სადაზღვევო თანხა	პრემია 1 (ლარი)	პრემია 2 (ლარი)	პრემია სულ ლარი)
1	HYUNDAI IX	2011	41500	HGH-0044	სრული	41500	1340	60	1400

- პრემია 1 - პრემია ავტოდაზღვევისათვის;
- პრემია 2 – პრემია მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევის (10000 დოლარიანი ლიმიტი)

შ.პ.ს „უძრავი ქონების განვითარების ფონდის“ უფროსი

ვ. თუხარელი

სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგის“ გენ დირექტორი

ბ. კვირიკაძე

სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი“
ჯი პი აი
ვანის სადაზღვევო ჯგუფი
204426674
JSC "INSURANCE COMPANY GPI HOLDING"

სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგის“ საბანკო რეკვიზიტები

სს „თიბისი ბანკი“

ბანკის კოდი	TBCBGE22
ანგარიშის ნომერი	GE13TB1100000005700652

სს „ბაზის ბანკი“

ბანკის კოდი	CBASGE22
ანგარიშის ნომერი	6136105

სს „პროკრედიტ ბანკი“

ბანკის კოდი	MIBGGE22
ანგარიშის ნომერი	GE89PC0133600100038397

სს „კორ სტანდარტ ბანკი“

ბანკის კოდი	AGREGE22
ანგარიშის ნომერი	GE42KS0000000000033235

თანხის გადახდა შესაძლებელია TBC PAY-ის, OSMP-ს და PAY BOX-ის სწრაფი გადახდის აპარატების მეშვეობით.

დამზღვევი თანახმაა, რომ ამ პოლისში მითითებული გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში ვადაგადაცილებიდან 14 კალენდარული დღის შემდეგ მომხდარი სადაზღვევო შემთხვევები არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.

ამასთანავე, მზღვეველი უფლებამოსილია წერილობით მოითხოვოს დამზღვევისგან პირგასამტეხლო დავალიანების 0.2 პროცენტის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამ შემთხვევაში პირგასამტეხლოს დარიცხვა/ათვლა დაიწყება წერილში მითითებული თარიღიდან.

გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი“ იტოვებს უფლებას გადასცეს კლიენტის შესახებ ინფორმაცია საკრედიტო ან შესაბამის სადაზღვევო საინფორმაციო ბიუროს.

დაზღვეულის ხელმოწერა _____